



თბილისის  
ადამიანის  
უფლებათა  
სახლი



# ქვეყნის კრთობრქვეის ანბქრთუი

*აბერბაიქანთდან ღვენთღთ უფღებადამცვეღებთსთვის განუღთ  
მხარღაქერა სქქართვეღთში*



## თბილისის ადამიანის უფლებათა სახლი

თბილისის ადამიანის უფლებათა სახლი (HRH-თბილისი) არის წევრობაზე დაფუძნებული ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს ადამიანის უფლებების საკითხებზე მომუშავე ხუთი ქართულ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციას. სახლი დაფუძნდა თბილისში „ადამიანის უფლებათა სახლის ფონდის“ მხარდაჭერით და 2010 წლის ივლისში დარეგისტრირდა როგორც არასამთავრობო ორგანიზაცია. HRH-თბილისი იმავე წელს ადამიანის უფლებათა სახლების ქსელის წევრი გახდა. „ადამიანის უფლებათა სახლების ფონდი“ იცავს, აძლიერებს და მხარს უჭერს უფლებადამცველებს და მათ ორგანიზაციებს. ამჟამად დამოუკიდებელი უფლებადამცველი ორგანიზაციები ერთობლივად ახორციელებენ საქმიანობას 11 ქვეყანაში მოქმედ 16 ადამიანის უფლებათა სახლში. HRH-თბილისი შედგება შემდეგი წევრი ორგანიზაციებისგან: „ადამიანის უფლებათა ცენტრი“, „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“, „წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი“, კავშირი „საფარი“ და „მედიის ინსტიტუტი“. ადამიანის უფლებათა სახლის კონცეფციიდან გამომდინარე, თანამშრომლობის და ერთობლივი საქმიანობის გაძლიერებით, ადამიანის უფლებების უკეთ დაცვის ადვოკატირების მიზნით, HRH-თბილისის ყველა წევრი ორგანიზაცია განთავსებულია ერთ სივრცეში და მუშაობს შემდეგ მიმართულებებზე: იურიდიული და ფსიქოლოგიური დახმარება, კანონმდებლობის გაუმჯობესება, ადვოკატირება, ადამიანის უფლებების შესახებ განათლება და რისკის ქვეშ მყოფი უფლებადამცველების, აქტივისტების და ჟურნალისტების დაცვა.

### საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: აკაკი გახოვიძის ქ. 11<sup>ა</sup>

0160, თბილისი, საქართველო

ტელეფონი: +995 322 38 20 18

ელექტრონული ფოსტა: [tbilisi@humanrightshouse.org](mailto:tbilisi@humanrightshouse.org)

ვებგვერდები: [www.hrht.ge](http://www.hrht.ge)

<http://humanrightshouse.org/Members/Georgia/index.html>

### დათქმა

დოკუმენტი მოამზადა თბილისის ადამიანის უფლებათა სახლმა მის წევრ ორგანიზაციებთან პარტნიორობით და ადამიანის უფლებათა სახლის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. დოკუმენტში გამოხატული მოსაზრებები ეკუთვნის თბილისის ადამიანის უფლებათა სახლს და შესაძლოა, არ ასახავდეს ფონდის შეხედულებებს.

### ჩვენი დონორები

გულწრფელ მადლობას ვუხდით “თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის” დონორებსა და პარტნიორებს. განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორს - “ადამიანის უფლებათა სახლის ფონდს”, ასევე ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს საქართველოში და ფონდს „ეროვნული წვლილი დემოკრატიისთვის“ (NED), რომელთა მხარდაჭერითაც შესაძლებელი გახდა უფლებადამცველების დაცვის პროგრამის განხორციელება.

## სარჩევი

აბსტრაქტი .....	3
ადამიანის უფლებები აზერბაიჯანში .....	4
დაცვის პროგრამა აზერბაიჯანიდან დევნილი უფლებადამცველებისა და აქტივისტებისთვის .....	6
იურიდიული დახმარება .....	9
ჰუმანიტარული დახმარება .....	10
ფსიქოლოგიური და სამედიცინო დახმარება .....	12
სამოქალაქო ინტეგრაციაში ხელშეწყობა .....	13
სადამკვირვებლო მისიები .....	15
შეჯამება .....	16

## აბსტრაქტი

წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილია 2014-2017 წლებში „თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის“ მიერ გაწეული საქმიანობა, რომელიც უკავშირდება აზერბაიჯანიდან საქართველოში დევნილი პირების უფლებების დაცვასა და მათთვის სამოქალაქო ინტეგრაციაში ხელშეწყობას.

„თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის“ მიერ განხორციელებულმა „დაცვის პროგრამამ“ აზერბაიჯანიდან საქართველოში დევნილ ასზე მეტ სამოქალაქო თუ პოლიტიკურ აქტივისტს, ჟურნალისტს, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელს და უფლებადამცველ პირს მისცა დახმარების მიღების შესაძლებლობა. პროგრამის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ბენეფიციარების წინაშე არსებული რისკების მნიშვნელოვნად შემცირება და მათთვის ახალი შესაძლებლობების შეთავაზება. დაცვის პროგრამა შემუშავებულია „ადამიანის უფლებათა სახლის ფონდის“ აქტიური მხარდაჭერით და თანამშრომლობით. გარდა ამისა, „ადამიანის უფლებათა სახლის ფონდმა“ თბილისის სახლსა და სხვა ორ სახლთან პარტნიორობით („ჩერნიგოვის ადამიანის უფლებათა საგანმანათლებლო სახლი“ (უკრაინა), „ბარის ზვოსკაუს ბელორუსიის ადამიანის უფლებათა სახლი“) შეიმუშავა ერთობლივი სახელმძღვანელო და ძირითადი პრინციპები დაცვის პროგრამისთვის, რომლითაც ხელმძღვანელობენ ზემოთ ხსენებული სახლები საკუთარი საქმიანობის ფარგლებში.

წინამდებარე ანგარიში აღწერს აზერბაიჯანიდან დევნილი პირების საქმეებს - საქართველოში საცხოვრებლად გადმოსვლასთან დაკავშირებულ პრობლემებს და იმ დახმარებას, რაც „თბილისის ადამიანის უფლებათა სახლმა“ ბენეფიციარებს გაუწია. „თბილისის ადამიანის უფლებათა სახლი“ აქტიურად აგრძელებს აზერბაიჯანიდან საქართველოში დევნილი პირების უფლებების დაცვასა და მათი ინტერესების ადვოკატირებას, როგორც საქართველოში, ისე საერთაშორისო დონეზე.

დაცვის პროგრამის განხორციელებისას, სხვადასხვა დროს, ჩვენი დონორები იყვნენ: ადამიანის უფლებათა სახლის ფონდი, „ეროვნული წვლილი დემოკრატიაში“ (NED) და საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩო.

## ადამიანის უფლებები აზერბაიჯანში

ადამიანის უფლებების დაცვა წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევას აზერბაიჯანში. არაერთი ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაცია მიუთითებს, რომ ქვეყანაში არსებობს სისტემური გამოწვევები და აზერბაიჯანის ხელისუფლება პოლიტიკურად მოტივირებულ გადაწყვეტილებებს იღებს, რაც ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს და თავისუფლებებს ლახავს.

უფლებადამცველებზე, დამოუკიდებელ ჟურნალისტებსა თუ აქტივისტებზე აზერბაიჯანის ხელისუფლების მხრიდან განხორციელებული ზეწოლა ბოლო წლებში განსაკუთრებით ინტენსიური გახდა. ამასთან, 2009 წლიდან შეცვლილმა კანონმდებლობამ შეზღუდა გამოხატვის თავისუფლების, მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებებით სარგებლობა.<sup>1</sup>

2016 წლის 26 სექტემბერს აზერბაიჯანში ხელისუფლებამ საკონსტიტუციო რეფერენდუმი ჩაატარა. განხორციელებული საკონსტიტუციო ცვლილებების<sup>2</sup> შედეგად მოხდა პოლიტიკური ძალაუფლების კონცენტრაცია, რასაც პოლიტიკური ოპონენტების, სხვადასხვა დამოუკიდებელი აქტივისტებისა თუ უფლებადამცველების საქმიანობის შეზღუდვა მოჰყვა. ამჟამად აზერბაიჯანის ციხეებში არაერთი პოლიტიკოსი, ჟურნალისტი, სამოქალაქო აქტივისტი, უფლებადამცველი თუ მათი ნათესავი იხდის სასჯელს.

The Economist<sup>3</sup>-ის დემოკრატიის ინდექსის მიხედვით, დემოკრატიის მაჩვენებელი აზერბაიჯანში 2012 წლიდან მოყოლებული, ყოველწლიურად უარესდება. 2016 წელს აზერბაიჯანს ამ ინდექსის ათ-ბალიან სკალაზე, ქვეყნის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელი - 2.65 ქულა მიენიჭა, რაც The Economist-ის მიხედვით ნიშნავს, რომ ქვეყანაში ავტორიტარული რეჟიმია.

ზემოთაღნიშნულ შეფასებას კიდევ უფრო ამყარებს საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ადამიანის უფლებებზე მომზადებული ანგარიშები და აზერბაიჯანის ხელისუფლების მიმართ კრიტიკულად განწყობილი სამოქალაქო აქტივისტების დაკავების საქმეებში არსებული მწირი მტკიცებულებები. მძიმედ აფასებენ ადამიანის უფლებების მდგომარეობას ისეთი ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორც „Human Rights Watch“, „Amnesty International“ და სხვ.

„Human Rights Watch“-ის 2016 წლის ანგარიშის<sup>4</sup> მიხედვით, აზერბაიჯანის ხელისუფლება აგრძელებს ოპოზიციონერი უფლებადამცველი არასამთავრობო ორგანიზაციების და დამოუკიდებელი მედიის რეპრესიას. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია

<sup>1</sup> Human Rights House Foundation, *Freedom Now “Breaking Point in Azerbaijan”*, 2015 ხელმისაწვდომია: <https://humanrightshouse.org/noop-media/documents/20949.pdf> [ბოლოს ნანახია 28.09.2018]

<sup>2</sup> Freedom House, „აზერბაიჯანი: კონსტიტუციური ცვლილებები ალიევს დაუბალანსებელ ძალაუფლებას ანიჭებს“ 27,09, 2016 ხელმისაწვდომია: <https://freedomhouse.org/article/azerbaijan-constitutional-referendum-gives-aliev-unchecked-power> [ბოლოს ნანახია 28.09.2018]

<sup>3</sup> ეკონომისტის დაზვერვის განყოფილება, *დემოკრატიულობის ინდექსი*, 2016, ხელმისაწვდომია: <https://infographics.economist.com/2017/DemocracyIndex/> [ბოლოს ნანახია 28.09.2018]

<sup>4</sup> Human Rights Watch, *ქვეყნის ანგარიში*, 2016 ხელმისაწვდომია <https://www.hrw.org/world-report/2017/country-chapters/azerbaijan> [ბოლოს ნანახია 28.09.2018]



დამოუკიდებელი ჟურნალისტების დევნასა და მედიასაშუალებების დახურვაზე. აღნიშნულია, რომ ხდება ჟურნალისტებზე ზეწოლა და გაჩუმების მიზნით მათი დაშინება. ყველა ძირითადი მედიასაშუალება კვლავ სამთავრობო კონტროლის ქვეშ იმყოფება.

ანგარიშის მიხედვით, არასამთავრობო ორგანიზაციების შემზღვეველი რეგულაციები<sup>5</sup> და მათი სადამსჯელო ღონისძიებები თითქმის შეუძლებელს ხდის დამოუკიდებელი არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსებას და საქმიანობას. „2014 წლიდან აზერბაიჯანის პროკურატურამ არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის ათეულობით უცხოელი დონორის დახმარება შეაჩერა. დაიბლოკა ადამიანის უფლებებსა და მთავრობის ანგარიშვალდებულებაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების საბანკო ანგარიშები. ასეთმა ჯგუფებმა შეაჩერეს თავიანთი მუშაობა ან საქმიანობა დევნილობაში განაგრძეს - აღნიშნულია Human Rights Watch-ის ანგარიშში.

„Amnesty International“<sup>6</sup>-მა 2016-2017 წლების ანგარიშში აზერბაიჯანში ხელისუფლების კრიტიკისთვის დაკავებულ აქტივისტებს „სინდისის პატიმრები“ უწოდა. მათი შეფასებით, ხელისუფლების ოპონენტების თვითნებურ დაკავებასთან ერთად, გახშირდა მათი წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტები, რომლებზეც სათანადო გამოძიება და რეაგირება არ მომხდარა.

ანგარიშის მიხედვით, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მონიტორებს არაერთხელ ეთქვათ უარი აზერბაიჯანში შესვლაზე.<sup>7</sup> ეს იმ ფონზე, როდესაც ადგილობრივი უფლებადამცველების ცნობით, 2016-2017 წლებში 100-ზე მეტი ადამიანია პოლიტიკურად მოტივირებული ბრალდებით დაპატიმრებული.

„ბაქოს ადამიანის უფლებათა სახლმა“, რომელიც „ადამიანის უფლებათა სახლის ფონდის“ აზერბაიჯანის ოფისად იყო რეგისტრირებული და აქტიურად მუშაობდა ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით, 2011 წელს აზერბაიჯანის ხელისუფლების ბრძანების საფუძველზე შეწყვიტა საქმიანობა. მას შემდეგ მისი არაერთი თანამშრომელი დააპატიმრეს, ზოგი მათგანი კი დევნილია. მსგავსი სირთულეების მიუხედავად, „ადამიანის უფლებათა სახლების ფონდმა“, 2017 წლის 15 სექტემბერს გამოაცხადა მიღება არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის და შეარჩია სამი აზერბაიჯანული ორგანიზაცია<sup>8</sup>, რომელიც აზერბაიჯანში „ადამიანის უფლებათა სახლის“ მიზნებისა და ამოცანების განხორციელებაზე იმუშავებს.

„ადამიანის უფლებათა სახლის ფონდი“ აქტიურად იცავს ხელისუფლების დევნის შედეგად დაზარალებული უფლებადამცველების ინტერესებს<sup>9</sup> სხვადასხვა ქვეყნებში, მათ შორის -

<sup>5</sup> Civic Freedom Monitor, *ქვეყნის ანგარიში, 2017*, ხელმისაწვდომია <http://www.icnl.org/research/monitor/azerbaijan.html> [ბოლოს ნანახია 28.09.2018]

<sup>6</sup> Amnesty International, *აზერბაიჯანი 2016-2017*, ხელმისაწვდომია: <https://www.amnesty.org/en/countries/europe-and-central-asia/azerbaijan/report-azerbaijan/> [ბოლოს ნანახია 28.09.2018]

<sup>7</sup> Amnesty International, *აზერბაიჯანი 2016-2017*, ხელმისაწვდომია: <https://www.amnesty.org/en/countries/europe-and-central-asia/azerbaijan/report-azerbaijan/> [ბოლოს ნანახია 28.09.2018]

<sup>8</sup> New Members for Human Rights House Azerbaijan, ხელმისაწვდომია: <http://humanrightshouse.org/Articles/22933.html> [ბოლოს ნანახია 28.09.2018]

<sup>9</sup> Human Rights Houses Foundation and Human Rights Houses, *წლიური ანგარიში, 2016* ხელმისაწვდომია: <http://humanrightshouse.org/noop-media/documents/22593.pdf> [ბოლოს ნანახია 28.09.2018]

საქართველოში - „თბილისის ადამიანის უფლებათა სახლთან“ პარტნიორობით ან საერთაშორისო დონეზე - გაერო-ს, ევროპის საბჭოს, ეუთო-სა და ევროკავშირთან ერთად.

აზერბაიჯანში ადამიანის უფლებების სფეროში არსებული გამოწვევებიდან გამომდინარე, „თბილისის ადამიანის უფლებათა სახლმა“, ადამიანის უფლებათა ფონდთან თანამშრომლობით, 2014 წელს დაიწყო პროგრამა, რომელმაც აზერბაიჯანელ აქტივისტებს მნიშვნელოვან დახმარება აღმოუჩინა სამართლებრივი, ჰუმანიტარული, სამედიცინო თუ სხვა მიმართულებით.

## დაცვის პროგრამა აზერბაიჯანიდან დევნილი უფლებადამცველებისა და აქტივისტებისთვის

2014 წლიდან აზერბაიჯანის ხელისუფლების მხრიდან თავისუფალ მედიაზე, არასამთავრობო ორგანიზაციებზე, ოპოზიციურად განწყობილ პოლიტიკოსებზე, უფლებადამცველებსა თუ სხვა აქტივისტებზე ზეწოლა კიდევ უფრო გაიზარდა, რამაც ქვეყანა მნიშვნელოვნად დაამორა დემოკრატიულ სტანდარტებს და შეაჩერა მისი განვითარება. საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მომზადებული ანგარიშების<sup>10</sup> მიხედვით, აზერბაიჯანის ხელისუფლების რეპრესიული პოლიტიკის შედეგად, ქვეყანაში თითქმის შეუძლებელი გახდა დამოუკიდებელი და თავისუფალი საქმიანობა.

როგორც ზემოთაღნიშნული ანგარიშების, ასევე „თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის“ მიერ შესწავლილი ფაქტების ანალიზი წარმოაჩენს, სახელმწიფო რეჟიმის უშუალო მოწინააღმდეგეების გარდა, ხელისუფლებისგან ზეწოლას განიცდიდნენ აქტივისტების ნათესავებიც. ამდენად, ხშირ შემთხვევაში არამხოლოდ ხელისუფლების მოწინააღმდეგეებს, არამედ მათი ოჯახის წევრებსაც უწევთ ქვეყნის დატოვება და სხვა ქვეყანაში დევნილობაში წასვლა, რათა თავიდან აირიდონ დევნა და უსამართლო დაპატიმრება.

“თბილისის ადამიანის უფლებათა სახლს” აქვს მუდმივი კონტაქტი და კარგად განვითარებული თანამშრომლობა აზერბაიჯანულ ადამიანის უფლებათა დამცველ ორგანიზაციებთან. ამასთანავე, ქვეყნების ტერიტორიულმა სიახლოვემ და საქართველოს ლიბერალურმა სავიზო პოლიტიკამ (აზერბაიჯანის მოქალაქეებს საქართველოს ტერიტორიაზე 12 თვის განმავლობაში შეუძლიათ ვიზის გარეშე დარჩენა) ხელი შეუწყო იმ ფაქტს, რომ საქართველო აზერბაიჯანიდან დევნილებისთვის თავშესაფრის საძიებლად ერთ-ერთი მთავარი ქვეყანა გახდა.

„ადამიანის უფლებათა სახლის“ დაცვის პროგრამის ფარგლებში 2014 წლის სექტემბრიდან 2017 წლის დეკემბრის ჩათვლით განხორციელდა 7 პროექტი, რომელშიც აზერბაიჯანის 126 მოქალაქე იყო ჩართული. პროექტები მიზნად ისახავდა იმ აზერბაიჯანელი სამოქალაქო აქტივისტების, ჟურნალისტების, უფლებადამცველებისა თუ სხვა დევნილი პირების დახმარებას, რომლებიც პოლიტიკურად მოტივირებული დაპატიმრებისა თუ სხვა ტიპის რეპრესიის საფრთხის ქვეშ იმყოფებოდნენ. პროგრამის ბენეფიციარები ორ ძირითად კატეგორიად შეიძლება დაიყოს:

<sup>10</sup>იხ. Human Rights Watch –სა და Amnesty International-ის 2016-2017 წლების წლიური ანგარიშები.

**I ჯგუფი (ბენეფიციარები)** - ის აქტივისტები, ჟურნალისტები ან უფლებადამცველები, რომლებიც თავიანთი საქმიანობის გამო აზერბაიჯანში ხელისუფლების მიერ დევნისა და ზეწოლის მსხვერპლნი არიან;

**II ჯგუფი (ბენეფიციარის ოჯახის წევრები)** - ბენეფიციარის მეუღლე/პარტნიორი, ნებისმიერი ასაკის შვილი, მშობელი. ზოგიერთ შემთხვევაში, ბენეფიციართან დაკავშირებული პირი, რომლებიც უფლებადამცველის/აქტივისტის საქმიანობის გამო საჭიროებს საცხოვრებელი ადგილის შეცვლას/დახმარებას.

თითოეული ჯგუფის საჭიროებების შესწავლის შემდეგ ირკვევა, რომ ამ ჯგუფებს, საქართველოში საცხოვრებლად გადმოსვლის შემდეგ სხვადასხვა ტიპის სერვისები და მომსახურება სჭირდებათ. „თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის“ დაცვის პროგრამა ბენეფიციარებს ეხმარება 3-დან 6 თვემდე პერიოდის განმავლობაში. ამასთანავე, ხშირ შემთხვევაში, პარალელურ რეჟიმში ხორციელდებოდა სხვადასხვა ტიპის პროექტები ბენეფიციართა კომპლექსური მოთხოვნების საპასუხოდ.

„თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის“ მიერ აზერბაიჯანელი მოქალაქეებისთვის გაწეული დახმარება შემდეგ ძირითად კომპონენტებს მოიცავს:

1. იურიდიული დახმარება;
2. ჰუმანიტარული დახმარება (ფინანსური დახმარება და საცხოვრებლის უზრუნველყოფა);
3. სამედიცინო და ფსიქო-სოციალური დახმარება;
4. სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობა.

„თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის“ მიერ გაწეული მომსახურების შემდეგ ბენეფიციართა ნაწილმა საქართველო დატოვა და მესამე ქვეყანაში გადავიდა საცხოვრებლად. ნაწილი კვლავ საქართველოში ცხოვრობს, ზოგი კი პრობლემების მოგვარების ან/და საქმიანობის შეწყვეტის შემდეგ აზერბაიჯანში დაბრუნდა.

ცხრილი 1-ში დეტალურად არის წარმოდგენილი „თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის“ მიერ აზერბაიჯანიდან დევნილი პირებისათვის გაწეული დახმარება.



ცხრილი 1.

დაცვის პროგრამის ფარგლებში გაწეული მომსახურება

მომსახურების ტიპი	09. 2014				2015				2016				2017				სულ
	ქალი	კაცი	ბავშვი	სულ	ქალი	კაცი	ბავშვი	სულ	ქალი	კაცი	ბავშვი	სულ	ქალი	კაცი	ბავშვი	სულ	
იურიდიული დახმარება	5	7	5	17	4	8	1	13	0	1	0	1	5	4	0	9	40
სამედიცინო დახმარება	4	3	4	11	7	9	8	24	4	7	3	14	9	13	6	28	77
ფსიქოლოგიური დახმარება	4	5	1	10	4	8	3	15	4	5	2	11	5	3	1	9	45
ფინანსური დახმარება	2	2	1	5	4	10	1	15	4	7	0	11	9	15	0	24	55
თავშესაფრით უზრუნველყოფა	4	5	5	14	4	11	7	22	7	9	8	24	12	16	9	37	97
უცხო ენის კურსები	2	2	2	6	2	4	9	15	2	4	2	8	3	4	0	7	36
<b>ბენეფიციარები სულ</b>	<b>7</b>	<b>8</b>	<b>7</b>	<b>22</b>	<b>11</b>	<b>17</b>	<b>14</b>	<b>42</b>	<b>7</b>	<b>9</b>	<b>8</b>	<b>24</b>	<b>13</b>	<b>16</b>	<b>9</b>	<b>38</b>	<b>126</b>
<b>ოჯახების რაოდენობა<sup>11</sup></b>	<b>9 ოჯახი - 22 ბენეფიციარი</b>				<b>21 ოჯახი - 42 ბენეფიციარი</b>				<b>9 ოჯახი - 24 ბენეფიციარი</b>				<b>20 ოჯახი - 38 ბენეფიციარი</b>				<b>59 ოჯახი 126 ბენეფიციარი</b>

<sup>11</sup> იმ შემთხვევებში, როდესაც ერთ პირს გაეწია დახმარება (თანმხლები პირების გარეშე), 1 ადამიანი ჩათვლილია 1 ოჯახად.


სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, თავშესაფრით უზრუნველყოფა (97), ფინანსური (55) და სამედიცინო დახმარება (77) წარმოადგენს პროგრამის იმ კომპონენტებს, რომლითაც ყველაზე მეტმა ბენეფიციარმა ისარგებლა. ბენეფიციართა ნაწილმა გამოიყენა ასევე იურიდიული დახმარება (40) და ინტეგრაციის ხელშემწყობი ისეთი აქტივობა, როგორცაა უცხო ენის შესწავლა (36).

2014-2017 წლებში “თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის” მომსახურება მიიღო 59-მა ოჯახმა (126 ადამიანი). ცხრილი 1-ში ყოველწლიურად წარმოდგენილია მხოლოდ მითითებულ წელს მიღებული ბენეფიციარები და მათთვის გაწეული დახმარება.

## იურიდიული დახმარება

„თბილისის ადამიანის უფლებათა სახლი“, წევრ ორგანიზაციებთან პარტნიორობით, აზერბაიჯანიდან დევნილ აქტივისტებს და მათი ოჯახის წევრებს უფასო იურიდიულ დახმარებას და კონსულტაციას სთავაზობს. 2014-2017 წლებში იურიდიული დახმარება სხვადასხვა საკითხებზე მიიღო აზერბაიჯანის 40-მა მოქალაქემ.

ცხრილი 2.



იურიდიული დახმარების დროს ყველაზე აქტუალურ საკითხს საქართველოში ბინადრობის ნებართვის მიღება და საქართველოს ვიზის მიღება წარმოადგენდა.<sup>12</sup> თუმცა, 2017 წლიდან აქტუალური გახდა აზერბაიჯანელთა სავარაუდო დევნის ფაქტები საქართველოშიც, რაც

<sup>12</sup> 2015 წლამდე აზერბაიჯანელ მოქალაქეებს საქართველოში 90 დღემდე შეეძლოთ უვიზოდ დარჩენა, რაც შემდგომ შეიცვალა და საქართველოში უვიზოდ ყოფნის ვადა 360 დღემდე (ერთი წელი) გაიზარდა.

პროგრამის ერთ-ერთი ბენეფიციარის, აფგან მუხთარლის საქართველოდან აზერბაიჯანში სავარაუდო გატაცებას მოჰყვა. აფგან მ. თბილისის ცენტრალური უბნიდან გაუჩინარდა. მოგვიანებით გაირკვა, რომ ის აზერბაიჯანში იყო დაკავებული. მუხთარლი ჰყვება, რომ ის უცნობმა პირებმა იძულებით ჩასვეს მანქანაში და თავზე ტომარაჩამოცმული გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს. თბილისის სახლის წევრი ორგანიზაცია - „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“ იცავს აფგან მუხთარლისა და მისი ოჯახის ინტერესებს საქართველოში; საჩივარი წარდგენილია ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოშიც.<sup>13</sup>

2017 წლიდან, განსაკუთრებით კი აფგან მუხთარლის სავარაუდო გატაცების შემდეგ, პროგრამის ბენეფიციარები საქართველოში დევნის ფაქტებზე ალაპარაკდნენ. პირად საუბარში აზერბაიჯანიდან დევნილ არაერთ მოქალაქეს აღუნიშნავს, რომ ისინი საქართველოში თავს უსაფრთხოდ ვერ გრძნობენ, რადგან აზერბაიჯანის ხელისუფლების დავალებით მათ საქართველოშიც უთვალთვალებენ და ემუქრებიან. ამის გამო ბენეფიციართა ნაწილი იძულებული გახდა დაეტოვებინა საქართველო.<sup>14</sup>

2017 წელს დაცვის პროგრამის ფარგლებში სავარაუდო თვალთვალის საკითხზე 7 ბენეფიციარს გაეწია სამართლებრივი დახმარება სისხლის სამართლის საქმისწარმოებაში. თუმცა, ამ ეტაპზე, არცერთ საქმეზე არ არის მიღებული შემაჯამებელი გადაწყვეტილება და არსებობს კითხვები საქართველოს საგამოძიებო ორგანოების მიერ გამოძიების ეფექტურად წარმოებასთან დაკავშირებით.

### ჰუმანიტარული დახმარება


“თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის” დაცვის პროგრამის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს ჰუმანიტარული დახმარება, რომელიც მოიცავს ბენეფიციარების თავშესაფრით უზრუნველყოფასა და 3 თვის მანძილზე მათთვის ყოველთვიურ ფინანსურ დახმარებას (იხ. ცხრილი 3).

პროგრამის ფარგლებში, ბენეფიციართა საჭიროებებიდან გამომდინარე, თავშესაფრით უზრუნველყოფილნი იყვნენ არამხოლოდ უშუალოდ აზერბაიჯანიდან დევნილი პირები, არამედ მათი ოჯახის წევრებიც. ბენეფიციარებისთვის თავშესაფრით სარგებლობის პერიოდია 3 თვე. ყოველდღიური ხარჯების დასაფარად მათთვის ასევე გამოყოფილია ყოველთვიური ფინანსური დახმარება, ასევე 3 თვის ვადით.

<sup>13</sup> ვრცლად აფგან მუხთარლის საქმის შესახებ იხილეთ “თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის” მომზადებულ ანგარიშში: *The Case of Afghan Mukhtarli, Facts and Evaluation*, ხელმისაწვდომია: <https://humanrightshouse.org/wp-content/uploads/2018/05/The-Case-of-Afgan-Mukhtarli.pdf> [ბოლოს ნანახია 28.09.2018]

<sup>14</sup> Azerbaijani Human Rights Defenders and activists in Georgia, ხელმისაწვდომია: <https://humanrightshouse.org/articles/azerbaijani-human-rights-defenders-and-activists-in-georgia/> [ბოლოს ნანახია 28.09.2018]

ცხრილი 3.



ჰუმანიტარული დახმარების გაცემა ხდება პირთა მომართვისა და მათი ინდივიდუალური საჭიროებების შესწავლის შემდეგ. აღსანიშნავია, რომ თავშესაფარი და ფინანსური დახმარება ყველაზე მეტმა ბენეფიციარმა 2017 წელს მიიღო. 2014 წლიდან მოყოლებული, აზერბაიჯანიდან საქართველოში დევნილი აქტივისტებისა და უფლებადამცველების რაოდენობა გაიზარდა. განსაკუთრებით საინტერესოა ის ფაქტი, რომ 2017 წელს ვითარება შეიცვალა (იხ. ზემოთ „იურიდიული დახმარება“) და ხშირად საქართველო აღარ მოიხსენიებოდა აზერბაიჯანელებისთვის უსაფრთხო ქვეყანად, თუმცა, გეოგრაფიული მდებარეობის და რეგიონში დემოკრატიის ინდექსის გათვალისწინებით, ის მაინც პირველი დანიშნულების ქვეყანაა აზერბაიჯანში დევნილი პირებისთვის.

2014-2017 წლებში ბენეფიციართა მთლიანი რაოდენობის 77-მა პროცენტმა (97 ადამიანი) ისარგებლა „თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის“ მომსახურებით და მიიღო დროებითი საცხოვრებელი, 43-მა პროცენტმა (55 ადამიანი) კი მიიღო ფინანსური დახმარება.

პროგრამის აღნიშნული კომპონენტები სტრატეგიულად მნიშვნელოვანი იყო დევნილი პირების უფლებების სათანადოდ დაცვისა და რეაბილიტაციისათვის. თავშესაფრისა და ფინანსური დახმარების კომპონენტების გარეშე „თბილისის ადამიანის უფლებათა სახლი“ ვერ შეძლებდა ბენეფიციარებისთვის გაეწია სხვადასხვა ტიპის ის დახმარება, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი არამხოლოდ მათი უფლებების დაცვას, არამედ მათ სოციალურ ინტეგრაციას და უცხო ქვეყანაში ცხოვრებისთვის საწყისი პირობების შექმნას.

„თბილისის ადამიანის უფლებათა სახლი“ განსაკუთრებით ცდილობს, ხელი შეუწყოს იმ დევნილი პირების გაძლიერებას და ინტეგრაციას, რომლებიც ფიქრობენ საქართველოში ხანგრძლივად დარჩენას, რათა მათ შეძლონ პროფესიული საქმიანობის გაგრძელება და საკუთარი თავის თუ ოჯახის უზრუნველყოფა. ეს ადამიანები საქართველოში აბარებენ უმაღლეს სასწავლებლებში, სწავლობენ ქართულს და ა.შ.

## ფსიქოლოგიური და სამედიცინო დახმარება

აზერბაიჯანის ხელისუფლების მიერ საკუთარ მოქალაქეებზე განხორციელებული დევნისა და რეპრესიების შემდეგ განსაკუთრებით საჭირო და აქტუალური გახდა დაზარალებულთათვის სამედიცინო და ფსიქოლოგიური დახმარების გაწევა.

ამ მიზნით “თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის” წევრმა ორგანიზაციამ - „წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი“ შეიმუშავა სამედიცინო მკურნალობისა და რეაბილიტაციის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც 2014-2017 წლებში ის აზერბაიჯანიდან დევნილ 84 პირს, ანუ მთლიანი ბენეფიციარების 67%-ს მოემსახურა. (იხ. ცხრილი 4.)

### ცხრილი 4.

სქესი	ასაკი: 0-15	ასაკი:16-60	ასაკი: 60+
მამაკაცი:	11	37	0
ქალი:	10	26	2
სულ:	21	61	2

აღნიშნული მონაცემიდან, 47%-ს უშუალოდ რეპრესიის მსხვერპლი პირები წარმოადგენენ, ხოლო დანარჩენი 53% მათი ოჯახის წევრები ან ნათესავები არიან, რომლებიც ასევე განიცდიდნენ ფსიქოლოგიურ ზეწოლას, მუქარას და შეურაცხყოფას.

მკურნალობის ხანგრძლივობა მკვეთრად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან სხვადასხვა შემთხვევებში. პაციენტები ცენტრს მიმართავდნენ როგორც პერმანენტული მომსახურების მისაღებად, ასევე რეაბილიტაციის ერთთვიანი კურსის გასავლელად. ერთთვიანი რეაბილიტაცია 26-მა პაციენტმა გაიარა; 6-თვიანი - 17-მა; 22 პაციენტს კი 6 თვეზე მეტი დრო დასჭირდა. აღნიშნულ მონაცემებში არ შედის ერთჯერადი ან სპორადული სამედიცინო მომსახურება/კონსულტაცია.

პროგრამის ფარგლებში, ბენეფიციარებს ყველა საჭირო სამედიცინო გამოკვლევა ჩაუტარდათ: კლინიკო-ლაბორატორიული და ინსტრუმენტული, მათ შორის კომპიუტერული და მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია, კორონაროგრაფია, ელასტოგრაფია, ტრეპანობიოფსია და ა.შ.

დიაგნოზისა და მკურნალობის კურსის დადგენის შემდეგ ხდებოდა ბენეფიციარების მედიკამენტებით უზრუნველყოფა და მათი მკურნალობის პროცესის მონიტორინგი, საკონტროლო გამოკვლევები და კონსულტაციები. ცალკეულ შემთხვევებში დაფინანსდა მცირე ქირურგიული ჩარევა და ოპერაციები.



ბენეფიციართა მოთხოვნის საფუძველზე, ცენტრმა პაციენტთა ჯანმრთელობის მდგომარეობისა და რეაბილიტაციის პროცესის ამსახველი ცნობები გასცა საზღვარგარეთ არსებულ სამედიცინო დაწესებულებებში (მაგ. ნორვეგია, გერმანია) წარსადენად.

აღსანიშნავია, რომ 2014-2017 წლებში ყველა ბენეფიციართან მუშაობდა სოციალური მუშაკი, რომელმაც სულ 271 კონსულტაცია გასწია. ამ ხნის განმავლობაში ფსიქოლოგის მომსახურებით 22-მა ბენეფიციარმა ისარგებლა და 76 კონსულტაცია მიიღო, 30-მა ბენეფიციარმა კი 56 კონსულტაცია მიიღო ფსიქიატრისგან.

ბენეფიციარებმა რეაბილიტაციის პროცესში ფსოქოდიაგნოსტიკური კვლევა, ფსიქოლოგიური კონსულტირება და ფსიქოთერაპიული სესიები გაიარეს. მუშაობის ძირითადი მიმართულებები და მიღწეული შედეგები:

- ✓ სტაბილიზაცია;
- ✓ ემოციების რეგულაცია;
- ✓ ადაპტაციური მექანიზმების გაძლიერება;
- ✓ კომუნიკაციის უნარების განვითარება;
- ✓ რესურსების მოძიება და გაძლიერება;
- ✓ სამომავლო გეგმების შემუშავება;
- ✓ ინტერპერსონალური ურთიერთობების დარეგულირება.

თითქმის ყველა ბენეფიციარი განიცდიდა ახლობლებთან, კოლეგებთან და მშობლიურ გარემოსთან იძულებით დაშორებას. იმ პირებთან და ოჯახებთან, რომლებიც თვალთვალისა და დევნის ობიექტები იყვნენ, განსაკუთრებით მაღალი იყო ობიექტური საშიშროებისა და დაუცველობის განცდა და შიში. ადგილი ჰქონდა ფიზიკური ხელყოფისა და სხეულის დაზიანების შემთხვევებს.

„წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრის“ მიერ გაწეულმა სამედიცინო დახმარებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი აზერბაიჯანიდან დევნილი პირების ფსიქოლოგიური და ფიზიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას და მათ რეაბილიტაციას. მკურნალობის პროცესის შემდეგ პაციენტების დიდი უმრავლესობის ფსიქო-სოციალური მდგომარეობა გაუმჯობესდა.

## სამოქალაქო ინტეგრაციაში ხელშეწყობა

„თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის“ დაცვის პროგრამის განხორციელებისას გამოიკვეთა, რომ ჰუმანიტარული, იურიდიული თუ სამედიცინო დახმარების გარდა, დევნილობაში მყოფ პირებს ახალი რეალობის გათვალისწინებით, მათი შესაძლებლობების სხვადასხვა მიმართულებით გაძლიერება ესაჭიროებათ.

დევნილი პირების მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მათი საქმიანობის მხარდაჭერისათვის „თბილისის ადამიანის უფლებათა სახლმა“ სხვადასხვა აქტივობები შეიმუშავა, რომლებიც ხელს უწყობენ დევნილი აზერბაიჯანელი მოქალაქეების მიმართ არსებული რისკების შემცირებას და მათ გრძელვადიან პროფესიულ განვითარებას. მიუხედავად ამისა, დევნილი

პირების წინაშე არსებული სხვადასხვა ბარიერების (ენის ცოდნა, დასაქმება და სხვა) დაძლევა კვლავ ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება.

სამოქალაქო ინტეგრაციისა და პროფესიული განვითარებისთვის განხორციელებული აქტივობებიდან აღსანიშნავია:

- ქართული და ინგლისური ენის შემსწავლელი კურსები;
- ტრენინგები: ადამიანის უფლებები და უფლებების დაცვის მექანიზმები, საქართველოში მოქმედი უცხოელებისთვის საჭირო ძირითადი კანონები, ცხოვრება და მუშაობა საქართველოში, კანონი მიგრაციის შესახებ და სხვა;
- ტრენინგები: პროექტების წერა, პროექტების მართვა და სამეწარმეო უნარების განვითარება;
- უსაფრთხოება და თავდაცვის საკითხები - ტრენინგი როგორც ფიზიკურ, ასევე ციფრულ უსაფრთხოებაზე;
- ჟურნალისტების და ბლოგერების დასაქმება;
- ანაზღაურებადი სტაჟირების შეთავაზება და სხვა.

წარმოდგენილი მიმართულებები დევნილი პირების ინტერესების და საჭიროებების გათვალისწინებით შემუშავდა. მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის ფარგლებში დევნილ პირებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, კვლავ განაგრძონ თავიანთი საქმიანობა და თავისუფალი განვითარება.

ამ მხრივ განსაკუთრებთ ეფექტიანია ჟურნალისტების და ბლოგერების პროექტში დასაქმების პერსპექტივა, რაც თავის მხრივ უნიკალური პროექტია, რადგან ის საშუალებას აძლევს აქტივისტებს, რომ უცხო ქვეყანაში იყვნენ პროფესიულად აქტიურები. 2015 წლიდან აზერბაიჯანელი აქტივისტები აქტიურად ამზადებენ სტატიებს, ვიდეო და ფოტორეპორტაჟებს საქართველოში მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანელების პრობლემების, საჭიროებების, სოციალური ცხოვრებისა და უფლებების შესახებ. ამ დრომდე, „თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის“ მხარდაჭერით აზერბაიჯანელი ჟურნალისტების მიერ სულ მომზადებული და გამოცემულია 98 სტატია. ეს სტატიები გამოქვეყნებულია როგორც ქართულ, ისე ინგლისურენოვან მედიასაშუალებებში.<sup>15</sup>

„თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის“ აქტივობებს 2017 წლიდან დაემატა ანაზღაურებადი სტაჟირება, რომელიც ბენეფიციარებს 3 თვის განმავლობაში შესაძლებლობას აძლევს დასაქმდნენ როგორც „თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის“ წევრ, ასევე სხვა პარტნიორ ორგანიზაციებში.

წარმოდგენილი პროგრამები დაეხმარა აზერბაიჯანიდან დევნილ პირებს სამოქალაქო ინტეგრაციაში და მათი სამოქალაქო ჩართულობის გაძლიერებაში. ბენეფიციარების აზრით, „თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის“ ყველა ეს პროექტი ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან მათი მეშვეობით აზერბაიჯანელ აქტივისტებს და უფლებადამცველებს აქვთ

<sup>15</sup> The Marneuli Mosque Dispute, *Georgia Today*, 23 October 2017, ხელმისაწვდომია: <http://georgiatoday.ge/news/7937/The-Marneuli-Mosque-Dispute?868> [ბოლოს ნანახია 28.09.2018]

შესაძლებლობა, რომ საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების წევრებად იგრძნონ თავი და შეძლონ საკუთარი პროფესიული უნარ-ჩვევების დახვეწა.

„თბილისის ადამიანის უფლებათა სახლი“ დევნილი პირების უფლებების დაცვასთან ერთად აქტიურად აგრძელებს აქტივისტების სხვადასხვა მიმართულებით მხარდაჭერას, რაც მათი უნარებისა და შესაძლებლობების გაძლიერებას ისახავს მიზნად.

## სადამკვირვებლო მისიები

„თბილისის ადამიანის უფლებათა სახლი“ 2015 წლიდან აზერბაიჯანელი აქტივისტების, უფლებადამცველებისა და ჟურნალისტების აზერბაიჯანში ჩატარებული სასამართლო პროცესების მონიტორინგს ახორციელებს. სასამართლო სისტემაზე არსებული პოლიტიკური გავლენიდან გამომდინარე, პროცესის მონიტორინგი მიზნად ისახავს უფლებადამცველების წინააღმდეგ სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის დარღვევის შესაძლო ფაქტების გამოვლენას და იყენებს ყველა ინსტრუმენტს ამ ფაქტებზე ეფექტიანი რეაგირების მოსახდენად.

ჟურნალისტებისა და უფლებადამცველების სასამართლო პროცესების მონიტორინგს „თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის“ წევრი ორგანიზაციების - „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ და „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ იურისტები ახორციელებენ. იურისტები სასამართლო პროცესების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციას სახლსა და „ადამიანის უფლებათა სახლის ფონდს“ აწვდიან ანგარიშების ან ეუთო-ს სასამართლო მონიტორინგის კითხვარების მეშვეობით.

2015 წლიდან „ადამიანის უფლებათა სახლმა“ აზერბაიჯანში 12 სამოქალაქო აქტივისტის, ჟურნალისტის და უფლებადამცველის 68 სასამართლო პროცესის მონიტორინგი ჩატარა. თითოეული პროცესის ბოლოს, სადამკვირვებლო ჯგუფის ან „ადამიანის უფლებათა სახლის ფონდის“ ჟურნალისტები ამზადებენ სტატიას ონლაინმედიაში გამოსაქვეყნებლად<sup>16</sup>. გარდა ამისა, სასამართლოს ოქმები, ანგარიშები და შევსებული კითხვარები ეგზავნება „ადამიანის უფლებათა სახლის ფონდს“, რომელიც ყველა ინფორმაციას საბოლოო ანგარიშის მოსამზადებლად იყენებს.<sup>17</sup>

სასამართლო პროცესების მონიტორინგისას გამოჩნდა, რომ პროცედურული დარღვევების გარდა, რიგ შემთხვევებში, დაუსაბუთებელ გადაწყვეტილებებს იღებს აზერბაიჯანული

<sup>16</sup> ჟურნალი „ლიბერალი“, ხადიჯა ისმაილოვას გახანგრძლივებული აპელაცია, 2015. ხელმისაწვდომია: <http://liberali.ge/articles/view/19025/khadija-ismailovas-gakhangrdzlivebuli-apelatsia> [ბოლოს ნანახია 28.09.2018]

<sup>23</sup> Human Rights House Tbilisi, Observer's Narrative about the Trial of Intigam Aliyev and Trial of Rasul Jafarov in Azerbaijan, 2014-2016 ხელმისაწვდომია: <http://humanrightshouse.org/noop/file.php?id=21794> [ბოლოს ნანახია 28.09.2018]

<sup>17</sup> ანგარიშები ხელმისაწვდომია: <https://humanrightshouse.org/who-we-are/reports-and-finances/#Annualreports> [ბოლოს ნანახია 28.09.2018]

სასამართლო. „Amnesty International“-მა და „Human Rights Watch“ -მა ბოლო წლების განმავლობაში აზერბაიჯანში დაპატიმრებული არაერთი პირი აღიარეს პოლიტიკურ პატიმრად.<sup>23</sup> სისტემურია სასამართლო პროცესების მიმდინარეობისას სხვადასხვა ტიპის პროცედურული დარღვევები.<sup>18</sup>

ფორმალურად, სასამართლო პროცესები აზერბაიჯანში ძირითადად ღიად ტარდება და დასწრება ყველა დამკვირვებელს შეუძლია. თუმცა, ხშირად სასამართლო პროცესი მიმდინარეობს ძალიან პატარა ოთახში და მოსამართლე თავისუფალი ადგილის არარსებობის მომიზეზებით არ აძლევს მსურველებს საშუალებას, რომ სასამართლო პროცესს დაესწრონ. საერთაშორისო ორგანიზაციებს და სხვა ქვეყნების უფლებადამცველებს პროცესზე დასწრების შესაძლებლობა ამის გამო ხშირად აღარ აქვთ, რეალურად კი ამ დროს დარბაზში სახელმწიფო მოხელეები იმყოფებიან, ან დარბაზი უბრალოდ ცარიელია. მსგავსი ფაქტები დაფიქსირდა აზერბაიჯანელი ჟურნალისტების - ლეილა იუნუს, არიფ იუნუს და ჰადიჯა ისმაილოვას საქმის განხილვისას. იყო შემთხვევები, როცა სხვადასხვა საელჩოების წარმომადგენლებს ნება დართეს, რომ სასამართლო პროცესებს დასწრებოდნენ, მაგრამ - თარჯიმნის გარეშე.

## შეჯამება

2014 წლიდან აზერბაიჯანში ადამიანის უფლებების დაცვის საკითხი კიდევ უფრო აქტუალური გახდა, რადგან ხელისუფლების მხრიდან ოპონენტებსა და დამოუკიდებელ აქტივისტებზე ზეწოლა მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამას მოწმობს საერთაშორისო თუ ადგილობრივი უფლებადამცველი ორგანიზაციების მიერ მომზადებული არაერთი ანგარიში.

„თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის“ მიერ განხორციელებულმა დაცვის პროგრამამ 2014-2017 წლების განმავლობაში 126 დევნილს შესაძლებლობა მისცა, რომ საქართველოში თავშესაფართან ერთად მიეღო კვალიფიციური და კომპლექსური მხარდაჭერა.

“თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის” ბენეფიციარებს წარმოადგენდნენ აზერბაიჯანიდან დევნილი სამოქალაქო აქტივისტები, ჟურნალისტები, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები, უფლებადამცველები, მათი ოჯახის წევრები და ნათესავები, რომლებსაც აზერბაიჯანის ხელისუფლების მხრიდან პოლიტიკური მოტივით მნიშვნელოვანი საფრთხე ემუქრებოდათ.

პროგრამის ფარგლებში დევნილ პირებს და მათი ოჯახის წევრებს შესაძლებლობა მიეცათ ესარგებლათ იურიდიული, ჰუმანიტარული, სამედიცინო თუ სხვა ტიპის დახმარებით. ბენეფიციარების ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე, შემუშავდა სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობისთვის განკუთვნილი სხვადასხვა პროგრამები, რამაც

<sup>18</sup> თბილისის ადამიანის უფლებათა სახლი, *დაზარალებული რასულ ჯაფაროვის პროცესზე*, 2015. ხელმისაწვდომია: <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18167&lang=geo> [ბოლოს ნანახია 28.09.2018]

აზერბაიჯანიდან დევნილ პირებს შესაძლებლობა მისცა სხვადასხვა მიმართულებით გაეუმჯობესებინათ პროფესიული უნარ-ჩვევები. თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის “დაცვის პროგრამის ფარგლებში პროექტის იურისტებმა ჩაატარეს სასამართლო პროცესების მონიტორინგი, რომლის შედეგებიც შემდეგ აისახა ანგარიშებში.

“თბილისის ადამიანის უფლებათა სახლი” აქტიურად თანამშრომლობს ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო ქსელთან, მათ შორის „ადამიანის უფლებათა სახლის ფონდთან“ და აზერბაიჯანის მოქალაქეების უფლებების დასაცავად იყენებს ყველა შესაძლო სამართლებრივ, პოლიტიკურ და ადვოკატირების ინსტრუმენტს.

„თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის“ მიერ დევნილი აზერბაიჯანელი პირების დაცვის პროგრამის პროექტის გაგრძელება მნიშვნელოვანია, რადგან 2017-2018 წლებში “თბილისის ადამიანის უფლებათა სახლისადმი” მომართვიანობა გაიზარდა: აზერბაიჯანში ადამიანის უფლებების დაცვის მხრივ კვლავ სერიოზული გამოწვევებია და აზერბაიჯანიდან დევნილ პირებს უსაფრთხო თავშესაფრის მოძიების მიზნით კვლავ საქართველოში უწყვეტ წამოსვლა.